გამონაკლისები:
მზღვეველი არ აანაზღაურებს

1.1 იმ შემთხვევებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯებს, როდესაც დაზღვეული განზრახ იგდებს თავს საფრთხეში, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ის მოქმედებს სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით; თვითმკურნალობის ხარჯებს;

1.2 არატრადიციული და ალტერნატიული მედიცინის (აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, მანუალური თერაპია, სუჯოკთერაპია, პლაზმოფერეზი, ოზონოთერაპია) ხარჯებს; ფიზიოთერაპიის ხარჯებს;

1.3 ვიტამინების(გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ვიტამინი ენიშნება მკურნალობის მიზნით), ნივთიერებათა ცვლის მარეგულირებელი საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური ან/და კვებითი დანამატების, იმუნომოდულატორების, ფსიქოტროპული, პარასამკურნალო საშუალებების, პროტექტორების, ჰიგიენური, კოსმეტიკური და დამხმარე საშუალებების შეძენის ხარჯებს;.

1.4 ნებისმიერი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება. მუნიციპალური სოციალური პროგრამებით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაფინანსებული და/ან მესამე პირის მიერ დაფინანსებული მომსახურებები. ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ხარჯებსგარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კლინიკა არ იღებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილეობას);

1.5 პროფესიული და სარისკო სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯებს;ლოგოპეტის ხარჯები;

1.6 ქრონიკული ჰეპატიტთან, B და C ჰეპატიტებთან, შიდსთან და მათ გართულებებთან დაკავშირებული გამოკვლევებისა და მკურნალობის ხარჯები. მაგრამ ანაზღაურებას ექვემდებარება გეგმიურად ჩატარებული პირველადი დიაგნოსტიკა;

1.7 ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან მკურნალობის ხარჯებს,ალოკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯებს; ნარკოტიკული და ტოქსიური ნივთიერებების, ასევე ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ხარჯებს;

1.8 ეგზოპროთეზებთან და მაკორეგირებელი დანიშნულების სამედიცინო მოწყობილობებთან(გარდა BMS სტენტისა,რომლის მარკას და ფასს ირჩევს მზღვევლი) ;

1.9 ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ოპერაციული და არაოპერაციული ჩარევის დროს; გულის რიტმის დარღვევების მკურნალობა იმპლანტირებადი აპარატებით, პრეისმეიკერის ხარჯები. ხელოვნური კიდურების და დამხმარე მოწყობილობების ხარჯებს;

1.10 მხედველობის კორექციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ექსიმერ-ლაზერით ჩატარებული მკურნალობის ხარჯებს; სათვალეების, ლინზებისა და სმენის აპარატის შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

1.11 თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებების, გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა (

ფინანსდება თანდაყოლილი დაავადებების ქირურგიული მკურნალობის ხარჯები, გეგმიური ჰოსპიტალიზაციის ლიმიტიდან, ქველიმიტი 1000,00ლარი). გენეტიკური კვლევების ხარჯების ანაზღაურება; გენოტიპირება.

1.12 პლასტიკური ქირურგიის ხარჯებს; დიალიზის ხარჯებს; კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის ხარჯებს სტომატოლოგიის ჩათვლით, კერძოდ - ვინირება, კბილის რესტავრაცია, კბილის დეპულპაცია შემდგომი პროთეზირებისთვის; წონის კორექციასთან დაკავშირებულ ხარჯებს

1.13 აყვანილი ექიმის ხარჯებს,ლუქს პალატის ხარჯებს;

1.14 უნაყოფობის, იმპოტენციის დიაგნოსტირების და მკურნალობის ხარჯებს; არასამედიცინო ჩვენებით ჩატარებული ხელოვნური აბორტის ხარჯებს; კონტრაცეფციის,ხელოვნური განაყოფიერების, რეპროდუქტოლოგიური სისტემის ხარჯებს;

1.15 ნებისმიერი არასამედიცინო ჩვენებით ჩატარებულ მომსახურების ხარჯებს;

1.16 გონორეის, ათაშანგის, შანკროიდის, ვენერიული გრანულომით გამოწვეული დონოვანოზის გამოკვლევასა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება მაგრამ ანაზღაურდება პირველადი დიაგნოსტიკა;

1.17 ფსიქიური დაავადებების, სარეაბილიტაციო მკურნალობის, მასაჟისა და ფსიქოთერაპევტის მომსახურების ხარჯებს;

1.18 მკურნალობის ხარჯებს, რომელიც საჭირო გახდა დაზღვეულის ომში, აჯანყებაში, სამოქალაქო არეულობაში ან კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად; აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს;

1.19 ეპიდემიით/პანდემიით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

1.20 იმუნიზაციის ვაქცინაციის ხარჯები, გარდა ანტიტეტანუსის, ანტირაბიულის, ბოტულიზმისა და ანტიგიურზინისა

შენიშვნა:

- არარეზიდენტი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება მოხდება საქართველოს მოქალაქეებისთვის მოქმედი პირობებისა და ტარიფის გათვალისწინებით ,შესაბამისი ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში.
- სეზონური აცრების დაფინანსება მოხდება ასაკის და რისკ ჯგუფის გათვალისწინებით, ოქტომბერ-ნოემბერის პერიოდში, წელიწადში ერთხელ;